ნახ. ჯ. ლოლუასი

№ 20 (1342) ოქტომბერი 1970

ნიანგი

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კაპ.

რთველი თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ფირცხალავასი



ვაჩის თავგადასავალი

— მოდით ასე შევთანხმდეთ, ყოველ პარასკევს ჩემთან მოხვალთ და საპურმარილოდ წამიყვანთ! — ეუბნება უფროსი ვაჩის.

— მღუპავთ, ბატონო? თქვენ კვირაში შვიდი პარასკევი გაქვთ! — ეუბნება ვაჩი.

— : —

— რამდენ წელს მომცემ? — ეკითხება ერთი ქალი ვაჩის.

— მაცალე, დავამთავრო იურიდიული! — პასუხობს ვაჩის.

— : —

ვაჩიმ ერთხანს ფოტოგრაფობა დაიწყო, გახსნა ატელიე და შესასვლელში ასეთი წარწერა გააკეთებინა: „ი ც ა ნ შ ე ნ ი თ ა ვ ი!“.

— : —

— რატომ გაქრა სავაჭრო წერტილებში წარწერა: „მოითხოვეთ ხურდა“? — ეკითხებიან ვაჩის.

— ხალხმა პირდაპირ რომ არ გაიგოს და მართლა არ მოითხოვოს ხურდა! — ეუბნება ვაჩი.

— : —

— პიესის დასაწერად ხელშეკრულება დავდე და ავანსად მხოლოდ ორმოცი პროცენტი მომცეს! — შესჩივლა ნაცნობმა დრამატურგმა ვაჩის.

— ადექი შენც და დამუქრე, თუ მთლიანად არ მომცემთ, მართლა დავწერ-თქო პიესას! — დაარიგა ვაჩიმ.

ძვირი ხე

იყიდება ხის ჩარჩოში ჩასმული სურათი.

— რა ღირს? — ეკითხება ვაჩი მხატვარს.

— ასი მანეთი.

— ასე გაძვირდა ხის მასალა? — იკითხა ვაჩიმ.

ერთი წუთით...

— თუ შეიძლება ხუთი წუთით შემოიარეთ მილიციაში! — უთხრა მილიციელმა ვაჩის.

— ვიცი, თქვენი ხუთი წუთი შეიძლება ხუთ წლამდე გაგრძელდეს, — უპასუხა ვაჩიმ.

გიგა მახვილაძე

— [illegible] ღმერთმა და მამაზეციერმა გამჩენ[illegible] ბოროტი ადამიანი და მისი გაჩენა. [illegible] შვილვით ნაზარდ ცხენს რაზე მპა[illegible]! — [illegible]ფოტოებით წამოიძახა სახლში შესვ[illegible] ჯუმბერ გაბელაიამ და ბოღმა ამოანთხია.

[illegible] ჯახმა შეიტყო თუ არა ცხენის მოპარვის ამბავი, გარეთ გამოცვივდნენ და კივილი მორთეს. თან წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ცხენის მომპარავს.

ყვირილზე მეზობლები გამოცვივდნენ და ჯუმბერ გაბელაიას ეზოს მიადგნენ. ჯუმბერი ყველას უჩვენებდა დანით გადაჭრილ თოკს.

— ვის გაუგია მეგრელი კაცისათვის ცხენის მოპარვა! — წამოიძახა ერთმა მეზობელმა.

— შინაური ამას არ იზამდა, ეს გარეშე ქურდია. — დაუმატა მეორემ.

—არც შინაურია გამორიცხული ამ საქმიდან! — წამოიძახა ბრაზმორეულმა ჯუმბერმა და ეჭვის თვალით გადახედა იქ მისულ მეზობლებს.

— ტყუილად ნუ ჩადგები ნურავის ცოდვაში, ახლაგე მიმართე ხელისუფლების ორგანოებს, გაასაჩივრე! — ურჩია ერთმა მეზობელმა.

— არა, ბატონო, უკეთესია მკითხავს მივმართოო, ნუ ჩავრევთ ხელისუფლებას. მკითხავი ზუსტად გვეტყვის ცხენის მომპარავს. — წამოაყენა თავისი მოსაზრება მეზობელმა შ. გაბელაიამ.

— რა დროს მარჩიელია, საღ არის ისეთი მკითხავი, ზუსტად დაგისახელოს ქურდი? — უიმედოდ ჩაილაპარაკა ჯუმბერმა.

— სად და კასპის რაიონის სოფ. ყარაღაჯში. ყარაღაჯელი სონა არ გაგიგონიათ, მთელს დუნიაზე ცნობილია.

—ყარაღაჯელი სონა ხომ მოკვდა?! — იკითხა ერთმა საქმეში ჩახედულმა.

— სონა მოკვდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ საქმეს აგრძელებს მისი ქალიშვილი ვარსენიკა —სონა II... — დაუმატა ვიღაცამ.

დიდი ბჭობა გაიმართა აბაშის რაიონის სოფ. ნოგოხაშში. გადაწყდა. დაზარალებული ჯუმბერ გაბელაია და მისი მეზობელი ვახტანგ გაბელაია სამგზავროდ გამზადნენ. აბაშიდან წარგზავნილები მეორე დღეს დილაადრიან სოფელ ყარაღაჯში ჩავიდნენ და კითხვა-ყითხვით მიადგნენ მკითხავის — ვარსენიკა (ვალია) გაბრიელის ასულ ქვრივშვილის სახლს. მკითხავს უხმეს. ვარსენიკა გარეთ გამოვიდა და შეეგება სტუმრებს.

— ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ? — შეეკითხა მათ ვარსენიკა.

—გასაჭირი გვაქვს, ქალბატონო, უნდა მოგვეხმარო. — მორიდებით მიმართეს კლიენტებმა.

— განა ვერ ვატყობ, გემჩნევათ რაღაცას დაკარგავდით ან ვიღაც რაღაცას მოგპარავდათ! — მიმართა მკითხავმა.

— გადავირევი ახლა, სწორედ ეგრეა, ქალბატონო! — სიხარულით წამოიძახა ჯუმბერმა. — ხედავ, რა ხელად გაიგო ჩვენი გასაჭირი, ნამდვილად გულთმისანია... ეს თუ მაპოვნინებს ჩემს ლაფშას! — ვერ დაფარა სიხარული.

— შენ ცხენი მოგპარეს... — გადმოთარგმნა „ლაფშა“ ქართულად ვარსენიკამ.

სტუმრები სიხარულით შეყვნენ სახლში და გაოცებით ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს: საიდან იცის, რომ ცხენი მომპარეს? თუკი ეს გაიგო, ქურდსაც ადვილად მიგვაგნებინებს.

— ერთი თუმნიანი დაღეთ ამ ხელისგულზე და ჩაითქვით ვინმე, ვიზედაც ეჭვი გაქვთ. — უთხრა ვარსენიკამ.

ჯუმბერ გაბელაიამ მკითხავს წითელი თუმნიანი დაუდო ხელისგულზე.

— აგე თქვენი ლაფშა, ვხედავ, ნუ გეშინიათ, შორს არ არის წაყვანილი. დაელოდეთ ორ-სამ დღეს და თვითონ მოვა სახლში. თუ თავის ფეხით არ მოვიდეს, მაშინ წადით ნატანებში. თუ იქაც ვერ ნახოთ, იმერეთში, კახეთში, ან აფხაზეთში ეძებეთ. ვთქვათ, იქაც არ აღმოჩნდა... მაშინ მეზობლებზე იფიქრეთ!

— რომელ მეზობელზე ვიფიქრო, რომელია ჩემი ცხენის ქურდი? — შეეკითხა ჯუმბერი, კბილები გააკრაჭუნა და ყურის მეზობელს თვალები დაუბრიალა.

— მე რას მიყურებ, შეცაცო, ჩემზე ხომ არ უთქვამს!

— ქურდი თქვენსავე სოფელშია. თქვენს სოფელში ცხოვრობენ თუ არა გრიშა, გურამი, დათო, ვანო, ალექსი, ან ევტიხი? — ჩამოუთვალა სახელები მკითხავმა.

ჯუმბერმა გადახედა ვახტანგს და სახეზე ტუჩი აუციმციმდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ მკითხავი ჩაერია ლაპარაკში:

— რაო, გენიშნა?

— გრიშა და ევტიხი არავინ გვყავს, მაგრამ გურამი და დათუნა ჩემი მეზობლები არიან...

დედასგიჭი





დედაჩემმა სახლში გახსნა „საგანგებო სესია“,
ნათესავებს დაუძახა ყველას, როგორც წესია.
მამაჩემმა წარბი შეჰკრა, (მცოდნეა და ნაკითხი)
დღის წესრიგში შეიტანა მხოლოდ ერთი საკითხი:
— ვაჟიშვილი უცოლშვილოდ სიბერეში წავიდა!
— სარძლო მე მყავს არჩეული! — აქაქანდა მამიდა.
— მეც მაღირსე შვილიშვილი, რა მოხდება, რა იყო!?
დედაჩემმაც მთხოვა ეს და იავნანა დაიწყო.
ყველა ერთად დამესია, მოყვარე და მძახალი,
მახლას, საპატარძლოები გაჩნდა თავზესაყარი.
ვერ გავუძელ შემოტევებს, მეც დავყარე ფარხმალი,
მაგრამ ამ დროს მეზობლისას ატყდა აყალმაყალი.
„ვინ ვარ შენთვის?! მეუღლე თუ შინამოსამსახურე,
მე შენ გეტყვი სხვა ქმრებივით ჩამაცვი და დამხურე!
თუკი რამე გვაბადია, უმადლოდ ნამზითევს,
რაც შენთან ვარ, მხოლოდ ერთი ზამთრის პალტო გავცვითე!
ქმარმა წინდა ვერ უყიდოს დედისერთა გოგონას?!
ფუი, ამგვარ განათლებას, ამგვარ პედაგოგობას.
როდემდე გსურს ვაჟბატონო, მამაჩემმა გარჩინოს?!
რატომ გინდა რომ ჩამორჩე შენს მეზობელ საჩინოს?!
გეოლოგი იყო, მაგრამ სამადნოსთან მისვლამდე
ბაზრის დირექტორად დადგა, ფულებში ზის კისრამდე!
შენ სამადლოდ მოგცეს ბინა, სხვისი გამონაცვალი,
თავის დროზე არც გაზია, არც შუქი და არც წყალი!
კაცმა რომ თქვას, არ გაკლია არც ცოდნა და არც ნიჭი,
შენც გადადგი ცხოვრებაში „გონივრული“ ნაბიჯი!
სკოლას სულ რომ ჩამოშორდე, მერე ვითომ რა გიშავს?
ნახე ვინმე მადლიანი, ფერმის გამგედ გაგიშვას!
რაიონი მაინც სხვაა, ანგარიში ქე იცი,
ჩემს პალტოსაც ეშველება და შენც ჰაერს შეიცვლი!
აბა, სხვა რა სიკვდილს უცდი, შენ დაგეწვას აკვანი“!
ესა სთქვა და ძირს რაღაცამ მოადინა ბრაგვანი.
მე არ ვიცი რით დამთავრდა ცოლ-ქმარს შორის განგაში,
მხოლოდ ეს ვთქვი, მგერი იქნა სულ შიშსა და კანკალში.
ვთქვი და დაოჯახებაზე გადაჭრით ვთქვი უარი,
დე, მკითხველმა გაარჩიოს მართალი და მტყუანი.

სერგო აბაიშვილი

— რა გვარებია?

— ჩემი სახლიკაცები არიან...

— ეგრეც ვფიქრობდი, სწორედ დაემთხვა ჩემს ჩანაფიქრს... წადით და გურამსა და დათუნას მოკითხეთ თქვენი ცხენის გზა-კვალი. — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბრძენმა მკითხავმა.

ჯუმბერი და ვახტანგი სრული დაიმედებულები დაბრუნდნენ სოფ. ნოგოხაშში.

— რა ჰქენით, რა გირჩიათ მკითხავმა? — შეეკითხა მაშია გაბელაია.

— ცხენის კვალს გურამსა და დათუნასთან მივყავართ.. .ასეთია მკითხავის აზრი. ეს აზრი უტყუარი და მტკიცეა, როგორც ბეჭედდასმული ცნობა, — უთხრა ჯუმბერმა და შემდეგ განაგრძო: — ახლა მიდი და მაგ ვაჟბატონებს გადაეცი, ორ დღეში მომგვაროს, თორემ საქმე კარგად არ წაუვათ.

მაშია გაბელაიამ სიტყვა-სიტყვით გადასცა ჯუმბერის დანაბარები, როგორც ერთს, ისე მეორეს და ისიც დაუმატა, რომ მკითხავის სიტყვას წყალი არ გაუვაო.

გურამს და დათოს ელდა ეცათ ამის გაგონებაზე და უმალვე სახლში მიუვარდნენ ჯუმბერ გაბელაიას. ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო და შეიქმნა ერთი მითქმა-მოთქმა.

— რას გვემართლებით, რისთვის გვწამებთ ქურდობას! — ცეცხლებს ყრიდნენ პირიდან დათო და გურამი.

— მე რას მიყვირით, აგერ ვახტანგ გაბელაიას ჰკითხეთ, რა თქვა მკითხავმა...

— წყალი არ გაუვა! — დაემოწმა ვახტანგიც.

— წამოდით ყარაღაჯში, გვიჩვენეთ ის ჩვენი ცოდვით სავსე ქალი და ჩვენი თანდასწრებით ათქმევინეთ ყველაფერი, თორემ პასუხს გაგებინებთ ასეთი შეურაცხყოფისათვის! — გამწარებით გაიძახოდნენ დათო და გურამი. ვარსენიკას ყარაღაჯში მთელი ამალა მიადგა სამეგრელოდან.

— შენა ხარ ჩვენი თავისმომჭრელი? რა საბუთით გვაბრალებ ცხენის ქურდობას?!

— რას ამბობთ ქა! მე კი არა, თვითონ თქვენ ჩაუთქვეთ მაგათი სახელები და ახლა მე მაბრალებთ?! — დაიხია უკან სონა II-მ.

— რაღა ჩვენი სახელები მოგადგა ენაზე, შექალო, რაზე მოგვეჭერი თავი საქვეყნოდ?! — უყვიროდა გურამი.

— მარტო თქვენი სახელები კი არა, სხვა სახელებიც ბევრი დავასახელე. მაშ რა, უსახელო ხომ არ იქნებოდა ცხენის ქურდი. აბა, რის მარჩიელი ვარ, თუ რამე არ ვურჩიე... რა ვქნა, ასეა, ამ ქვეყანას რამდენი ჭკუაზე მწყარალი ჰყავს... ხომ გაგიგონიათ — სულელი ფანტავს და ჭკვიანი კი კრეფსო.

...ძველი ამბავი არ გეგონოთ... ეს ფაქტი სულ ახლახან, რამდენიმე კვირის წინ მოხდა აბაშის რაიონის სოფ. ნოგოხაშში, როგორც ჩანს, დღესაც მარჩიელებით წყვეტენ სისხლის სამართლის საქმეებს.

ცხენის ქურდი კი კვდება სიცილით.

ვასილ ხმალაძე

კრიტიკა ქვემოდან.

ნახ. მ. აბაშეიძისა

— რას, ამბობ, ეს?
— ავბრის ანარეკლი ფოტოების და ჟიანელების ალბომიდან ამოიღეს და ეკიდეს. ეს ფოტო სამოელი ამით ავბედა.

ავტოპატრ

ნახ. ბ. კუბასი

— ბაბანდაას, კარგი პასტა თუ არა ბავშვ, „ნიდე" მოგეცით, მაინც ფოლადის კბილები მაქვს!

— ზამთრის პერიოდში სპორტის პროგრესის გადასაწყვეტად ერთხა შეხვედრა ექნეს.

არავის აწუხებდა და არც არავინ აწუხებდა.
არავინ მოსწონდა და არც არავის აწონებდა თავს.
არ ცდილობდა სხვის გაკვირვებას და არც არაფერი აკვირვებდა.
არავის არაფერს ეკითხებოდა, არც არავის არაფერს არ პასუხობდა.
სალეს ქვანავთი ცივი ეული ჰქონდა, რომელიც მხოლოდ სისხლის მიმოქცევის ფუნქციას ასრულებდა.
ფანტასტიკური ბუნებულობის მოუხდავად, უფროსებს არ უყვარდათ, რადგანაც გამარჯობის მაგივრად გაგიმარჯოს ეუბნებოდა მათ.
...რომ გათენდებოდა, დაღამებას უცდიდა, რომ დაღამებოდა — გათენებას..
არ იცოდა, რომ იყო ძალა სიყვარულისა, სიყვარული საქმისა, სიყვარული მიზნის მიღწევისა, სევდა მარცხისა. მხოლოდ იცოდა ვემო კარაქიანი პურისა, ცხელი ჩაისა და უსიზმრო ძილისა...
არ ფიქრობდა არც სიცოცხლის აზრზე და არც სიკვდილის გარდუვალობაზე.
სიკვდილის არ ეშინოდა, რადგან იგი მასში ბევრს ვერაფერს შეცვლიდა.

ალეგანზორ თაკეაძე

მე ურიგო და შენ რიგიანი?!

მე ურიგო და შენ რიგიანი?
მე:
ღამადგეული არ ვყოფილვარ, ბინის რიგში დედაჩემთან ერთად რომ ჩავდექი და ახლაც ვდგავარ...
მანქანის რიგში 20 წლის წინათ ჩავეწერე, 25 წელია, ტელეფონის რიგში ვდგავარ.
ტროლეიბუსი რაა, ტროლეიბუსშიც არ ავსულვარ ურიგოდ...
შენ:
ბინა ერთხელ კი არა, სამჯერ მიიღე ურიგოდ. ყოველ წელიწადს ურიგოდ ახალ „ვოლგას" ვამოგყავს.
ტალეფონი არც დაგიდგეს, არავის უკადრებია, ურიგო ხარო.
ტროლეიბუსის რიგში როგორ. დადგებოდი, რაც სიარული ისწავლე, მანქანიდან არ გადმოსულხარ.
ეხლა, ახლა შენ თვითონ თქვი, ვინაა **რიგიანი** და ვინაა **ურიგო?**

მე ბადური

სპორტული ანეკდოტი

სპორტული ანეკდოტი

სპორტული ანეკდოტი

სპორტული ანეკდოტი

სპორტული ანეკდოტი

##

ნახ. გ. ფირცხალავასი



—უსიტყვოდ.



— რა პროფილით გსურთ მუშაობა?
— მე ისეთი პროფილი მაქვს, ყველგან გამოვდგები.

გამომძიებელთან

ოთახიდან ყვირილი ისმოდა. ერთი ყვიროდა, მეორე აწყნარებდა. ხანდახან ისიც უმაღლებდა ხმას.

— ბოლოს და ბოლოს, გაიძულებთ!..

— რას მაიძულებ, რაღა უნდა მიყო, ცხოვრება ისედაც მოწამლული მაქვს.

ოთახში ორი მამაკაცი მიჯდომოდა მაგიდას. ერთს მკაცრი, ოფიციალური გამომეტყველება ჰქონდა, გამართულად იჯდა. მეორე გადათხლეშილიყო სკამზე, სახე არეოდა და უთავბოლოდ ყვიროდა.

— კი მაგრამ, რას გავს ეს, ქალის ცემა განა შეიძლება, ისიც შუა ხნის ქალის, ისიც მეუღლის?... — ტუქსავდა მკაცრი მამაკაცი.

— აბა, მაგან უნდა მომისპოს სიცოცხლე... — და სახეარეულმა მამაკაცმა საკმაოდ უხეში გამოთქმა იხმარა.

— ახლა კი კმარა. მე თქვენ გიჩვენებო!.. — ფეხზე წამოიჭრა მკაცრი მამაკაცი.

— შენ რა უნდა მიჩვენო.

— მე თქვენი შენ არა ვარ.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! თქვენობა კი არა, ჭკუაზე რომ ვარ, არ გიკვირს?

— ამას თუ ჭკუაზე ყოფნა ქვია, საკითხავია. — ჩაილაპარაკა მკაცრმა მამაკაცმა და ჩაეძია, — კი მაგრამ, გამარკვიე, თუ კაცი ხარ, რა მოხდა ასეთი?

— ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო... — ირონიულად ჩაეცინა სახეშეშლილს. — მე, ძმაო, ათას ხვრელში ვძვრები, წელებზე ფეხს ვიდგამ ფული რომ ვიშოვო. ორი სახლი ავაშენე. მანქანა მყავს. აგარაკი — ზღვისპირას. ხუთი შვილი ფუფუნებაში... მეტი რაღა უნდა?

— კი მაგრამ, თქვენს მეუღლეს წვლილი თუ მიუძღვის შვილების აღზრდაში?

— წვლილი?.. წვლილი კი არა, სულ მაგან გაზარდა და ადამიანებად აქცია. მე ან ფულის საშოვნელად დავდივარ, ან რესტორანში ვარ.

— აბა, რაღას ეძებთ?

— რას ქვია, ეს ვერ ვერ ... ეჰ, მაგისი, ეს მეკუთხედ გამოკეთა უკვე, მერე რამდენს ვაფრთხილებ! — აყვირდა ისევ სახეარეული.

— მოითმინეთ, თქვენ უკვე მეოთხედ შეახეთ ხელი.

— მეოთხედ კი არა, უნდა მოვკლა. ავეჯი არ აკლია, ტელევიზორები, მაგნიტოფონები, კინოაპარატები, მაცივარი ოთხი აქვს. უნდა დავამტვრიო ის მაცივრები, დავლეწავ! — მაცივრის ხსენებაზე, რატომღაც, მთლად გადაირია ისედაც გადარეული მამაკაცი.

— თქვენ რა, ეჭვიანობთ? — ცბიერად შეეკითხა მკაცრი პიროვნება და ისე გაიღიმა, თითქოს უკვე ყველაფერს მიხვდაო.

— ვეჭვიანობ? ვინ წაიყვანს მაგ დაფეხვილს. ეგ რომ წესიერი ოჯახის შვილი არ ყოფილიყო, ზრდილი, განათლებული, ოჯახის ბურჯი... როგორ შემოვუშვებდი სახლში?!

— აბა რაზე ანგრევთ ოჯახს? — დაიბნა მკაცრი პიროვნება.

— რაზე, ძმაო, და... მე მიყვარს ლუდი. საჭმელს სახლში არა ვჭამ. მაგათ თავზესაყრელი აქვთ. ხანდახან მაინც მიწევს სახლში მისვლა. რამდენჯერ გავაგზავნი სახლში ერთ ყუთ ჩეხურ ლუდს, იმდენს დავიბარებ წყალში გამაცივოს.. ის ჩემი ცოდვით სავსე ცოლი კი მაინცდამაინც მაცივარში შეყრის ბოთლებს. მივალ სახლში და ვლეწავ ყველაფერს... ამაზე რაღას იტყვით?!

და მან კვლავ განაგრძო გულამოსკვნით ჩივილი. სახე ხან აელეწებოდა, რისხვით აენთებოდა, ხან კი სასოწარკვეთაში ვარდებოდა და მთლად გაუბედურებულ კაცს ემსგავსებოდა...

— რა მაცივარი, რის მაცივარი?! მილიონჯერ ვთხოვე, ჩააწყოს წყალში, რა იქნება, ა?

გამომძიებელი გაოცებული მიშტერებოდა და მაგიდის ქვეშ თითებს იმტვრევდა.

ედიშერ გიორგაძე

საალამო ლოტერეა

მიიღეთ წრფელი საალამი ყოფილი სტუდენტისაგან,
მე ის ვარ, წელიწადში რომ ვერ გაბარებდით ერთ საგანს.
უპირველესად ყოვლისა, გისურვებთ ყოფნას ჩემსავით,
საცოდავ სტუდენტს მეძახდით, ვცხოვრობ კი ხელმწიფესავით.
ძლივს გაიმეტეთ დიპლომი, მეუბნებოდით: სუსტი ხარ!
ღმერთმა ჩემსავით ძლიერი, თქვენაც გაგყოფათ სულ დიდხანს.
დღეს თქვენი წონა ფული მაქვს, ადგილს მივაგენ მადლიანს,
ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა დედის რძესავით მარგია.
რა თავში ვიხლი, რად მინდა მორფოლოგია, სინტაქსი?
შავი, ცინცხალი „ვოლგა“ მყავს, მაინც მაკითხავს შინ ტაქსი.
ბინა მაქვს, კიდევ მივიღებ, არც ვიშლი და არც სხვას ვუშლი,
ერთ სახლსაც იქ წამოვჭიმავ, მშობლიურ ადგილ-მამულში.
ფულით მიცნობენ სუყველგან, (უფულო კაცი ვის უნდა).
საგზურებს რჩევით მაძლევენ, გაგრა მინდა თუ „პიცუნდა“.
ნეტავი ერთი განახათ, რა ჯანი მაქვს და რა მადა...
და როგორც წესი, ქეიფში ვარ შეუცვლელი თამადა.
ქუჩაში ისე მივდივარ, ვით მბრძანებელი ტყის — ლომი,
ჯიბეში ადგილს იკავებს, უკან წაიღეთ დიპლომი!

ვანო ცინცაძე

ნაკვესები ქარაგმების გარეშე

ლაგოდეხის მოძრავ-მექანიზებული № 17 კოლონის სამუშაოთა მწარმოებელმა — **იმბურგ სისვაძემ,** რომელმაც კოლონიდან 8910 მანეთის სამშენებლო მასალა მიითვისა, თქვა: მე სახლს ვაშენებ და სახლი მე მაშენებსო.

* * *

ადიგენის რაიონის სოფელ კახარეთის მცხოვრები **შოთა ნარიაშვილი** სასპეკულანტოდ შეძენილ 1878 კილოგრამ ვაშლს ქალაქ ერევანში უნამუსოდ ასაღებდა, თავს კი — ნამუსიანად.

* * *

ბორჯომის რაიონის გუჯარეთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა — **გ. ძირტკბილაშვილმა, გ. დეკანოსიძემ, ა. ბოგიშვილმა და ვ. ტურაშვილმა** მდინარე გუჯარეთს მომწამვლელი ნივთიერებითა და თევზსაჭერი იარაღებით დატვირთული მანქანა მ ი ა ყ ე ნ ე ს... სახელმწიფოს კი — 724 მანეთის ზარალი.

* * *

თეთრწყაროში იკითხეს: გეგმით 1968 წელს დასამთავრებელ სტადიონზე თუ თამაშობენო და... როგორ არა, მშენებლებიო.

* * *

ვანელმა ბრაკონიერებმა — **ლეო ღვინერიძემ, ედიშერ ხურციძემ** და **ამირან დადუნაშვილმა** განაცხადეს: ჩვენ თევზი დ ა ვ ი ჭ ი რ ე თ და თევზმა ჩვენ დ ა გ ვ ი ჭ ი რ ა ო.

* * *

საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოების გორის სასწავლო-საწარმოო წამოწყების მექანიკური საამქროს ბრიგადირი **იოსებ ჯანაშვილი** ისეთი ღონიერი იყო, რომ რუსეთიდან 120 ტონა უფაქტურო თუნუქი შემოზიდა.

გაიოზ შავერზაშვილი

ქალბატონი დაიკე კინოში მის უკან მჯდომ მაყურებელს მიუგრიალდა:

— ჩემი შლაპის ფრთები ყურებას ხომ არ გიშლით?

— არა, გეთაყვა, — დაამშვიდა მან, — უკვე წავაჭერი და ახლა მშვენივრად ვხედავ.

* * *

ცოლი: როგორ გყოფნის გამბედაობა, სახეში რომ მიყურებ?

ქმარი: რას იზამ, კაცი ყველაფერს ეჩვევა.

* * *

ექიმმა პაციენტი დიდხანს სინჯა და ბოლოს თქვა:

— ჯერ კიდევ ვერ შევძელი თქვენი ავადმყოფობის ზუსტად დადგენა. ალბათ ალკოჰოლის ბრალია.

— არა უშავს რა, ექიმო, როცა ფხიზელი იქნებით, მაშინ მოვალ.

* * *

მოთმინებიდან გამოსულმა მოქალაქემ ტელეფონის ჯიხურის კარი გამოაღო და შიგ მყოფ კაცს მიმართა:

— კიდევ დიდხანს ილაპარაკებთ?

— მე ჯერ ერთი სიტყვის თქმა არ მომისწრია, ცოლს ველაპარაკები, — მიუგო მან.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეს ნახატები ეკუთვნის ეროვნული სატირული გრაფიკის პიონერს — **ვახტანგ კილაძეს.** რადგან ჩვენს ჟურნალს მანდილოსნებიც კითხულობენ, ამ უძველესი ქართველი კარიკატურისტის ასაკის **გამ**ჟღავნებაზე თავს ვიკავებთ. მისი სატირული ალბომი კი ზუსტად 70 წლისაა.



— გაიგეს, პლატონიჩ, განცხადებებს არ იღებენ, და ამ ყუთით მოგვართვეს.

რესტორან „სამაიას“ ცოცხალი რეკლამა

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლეგვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
10/ X-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/X-70 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 2699.
УЕ № 02139
ტირაჟი 120.600.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

1/1970 70-668

ИНДЕКС 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკა კვლავ უხვად ამარაგებს ისრაელს „ფანტომის“ ტიპის თვითმფრინავებით.

„ფანტომ“-ასის ახალი სერია!

№ 668 70
3.XI

ნახ. ბ. ლომაძისა